ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N 12

26.09.2017

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულის ანა ფირცხელიანისთვის სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭება ფსიქოლოგიაში.
2. მაგისტრატურის იმ კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭება, რომელთაც გადატანილი ჰქონდათ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა სექტემბრისთვის.
3. ფსიქოლოგიის ფაკუკლტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულ თეონა გელაშვილის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა.
4. ასისტენტ პროფესორის, ვლადმიერ გამსახურდიას განცხადების განხილვა სამეცნიერო-შემოქმედებით შვებულებასთან დაკავშირებით;
5. ასოცირებული პროფესორის, რუსუდან სანაძის განცხადების განხილვა 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში უხელფასო შვებულების მოთხოვნასთან დაკავშირებით
6. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართვის რეგულაციის საკითხი
7. ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებების დამტკიცება
8. ფაკულტეტზე კვლევის ეთიკური კომისიის (IRB) შექმნის შესახებ
9. პროფესორების სამსახურში შესარჩევი შეფასების კრიტერიუმების პროექტის განხილვა

სხდომას ესწრებოდნენ:

დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

<u>ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორი:

მზია წერეთელი

ასოცირებული პროფესორები :

მაია მესტვირიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ლილი ხეჩუაშვილი, ლუიზა არუთინოვი, ირინა ჟვანია, ხათუნა მარწყვიშვილი, ვახტანგ ნადარეიშვილი, შორენა მამუკაძე, თამარ აბაშიძე, მედეა დესპოტაშვილი

ასისტენტ პროფესორები:

თეონა ლოდია, ნინო ლაბარტყავა

<u>განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

ზაქარია ქიტიაშვილი, იზაბელა პეტრიაშვილი

სტუდენტები:

ანა გელაშვილი

სალომე თოფურია

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 19 წევრი

განიხილეს:

1. **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულის ანა ფირცხელიანისთვის სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭება ფსიქოლოგიაში.**

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ სასწავლო დეპარტამენტის მიერ საბჭოზე დასამტკიცებლად შემოტანილია 2017 წლის კურსდამთავრებული ბაკალავრის, ანა ფირცხელიანის კვალიფიკაციის მინიჭებისათვის წარდგინება. სტუდენტი იმყოფებოდა გაცვლითი პროგრამით ნორვეგიაში და ოფიციალურად ჰქონდა გადატანილი დამამთავრებელი სემესტრის გამოცდები.

შესაბამისად, საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინა ფსიქოლოგიის დარგის საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი

მიენიჭოს **სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში** და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2016/2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულს:

სწავლების ძირითადი დარგი: **ფსიქოლოგია**

დიპლომი ჩვეულებრივი:

ფირცხელიანი ანა

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და მიიღო ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

2. **მაგისტრატურის იმ კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭება, რომელთაც გადატანილი ჰქონდათ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა სექტემბრისთვის.**

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ სასწავლო დეპარტამენტის მიერ საბჭოზე დასამტკიცებლად შემოტანილია 2017 წლის კურსდამთავრებულ მაგისტრთა კვალიფიკაციის მინიჭებისათვის წარდგინება. სტუდენტებს გადატანილი ჰქონდათ სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვა სექტემბრისათვის, შესაბამისად, მათი კვალიფიკაციის მინიჭებისთვის წარდგინება გვიან ხორციელდება.

I. მიენიჭოთ ***განათლების მეცნიერებების*** *მაგისტრის* აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2017 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

<u>დიპლომი ჩვეულებრივი</u>

1. ხურცილავა სოფია

სწავლების ძირითადი დარგი - განათლების პოლიტიკა

<u>დიპლომი წარჩინების</u>

1. ტვილდიანი ლილე

<u>დიპლომი ჩვეულებრივი</u>

1. ლეკიშვილი ნინო

I. მიენიჭოთ **სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2017 წლის კურსდამთავრებულებს:

სამაგისტრო პროგრამა „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია“

დიპლომი ჩვეულებრივი

1. ზოიძე მია

II. მიენიჭოთ **შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2017 წლის კურსდამთავრებულებს:

სამაგისტრო პროგრამა: „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“

დიპლომი წარჩინებით

1. ქარქუსაშვილი ეკატერინე

დიპლომი ჩვეულებრივი

2. ამისულაშვილი ნაზი

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და მიიღო ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

3. ფსიქოლოგიის ფაკუკლტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულ თეონა გელაშვილის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტზე შემოვიდა განცხადება, რომლის მიხედვით, საჭიროა **2005 წლის კურსდამთავრებულ თეონა გელაშვილის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა და დამტკიცება.** კერძოდ, თსუ–ის რექტორს განცხადებით მიმართა 2005 წლის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა თეონა გელაშვილმა, რომელიც ითხოვს მის სახელზე დიპლომისა და დანართის ახალი ფორმით დამზადებას.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ თეონა გელაშვილი 2001 წელს (ბრძ. #4/760, 27.08. 2001 წ.) ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე (დასწრებული სწავლების ფორმა).

2005 წელს (ბრძ.#4/709, 04.08.2005 წ.) **თეონა გელაშვილს** მიენიჭა <u>ფსიქოლოგის ბაკალავრის</u> აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით.

ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი #7) გადაწყვეტილებით თეონა გელაშვილს მიენიჭა <u>ბაკალავრის</u> აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგიის კვალიფიკაცია სპეციალობით ფსიქოდიაგნოსტიკა და რეაბილიტაცია.

ვინაიდან აღნიშნულ ბრძანებასა და ოქმში მითითებული კვალიფიკაცია და აკადემიური ხარისხი ერთმანეთს არ ემთხვევა, ფაკულტეტმა უნდა დააზუსტოს ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულთათვის, მათ შორის თეონა გელაშვილის კვალიფიკაცია და აკადემიური ხარისხი.

შესაბამისად, საჭიროა შევიდეს შესწორება 2005 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი#7-ში და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:

<u>ფსიქოლოგიის ბაკალავრის</u> აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით, სპეციალობით ფსიქოდიაგნოსტიკა და რეაბილიტაცია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბჭოს საკითხი დასამტკიცებლად წარედგინა შემდეგი ფორმულირებით: შევიდეს შესწორება 2005 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის **ოქმი #7-ში** და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:

ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით, სპეციალობით ფსიქოდიაგნოსტიკა და რეაბილიტაცია.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და მიიღო ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი:0

თავი შეიკავა:0

4. ასისტენტ პროფესორის ვლადმიერ გამსახურდიას სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საჭოს მოახსენა, რომ მიიღო წერილი ასისტენტ პროფესორის, ვლადიმერ გამსახურდიას წერილი მისთვის სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების უფლების მიცემის თაობაზე. ვალდიემრ გამსახურდია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის ერთობლივი გრანტის ფარგლებში ამჟამად იმყოფება აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტით ბრემენის სოციალურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, რომელიც ბრემენისა და იაკობსის უნივერსიტეტების ბაზაზე ფუნქციონირებს. ვლადიმერ გამსახურდია ვერ ახერხებს 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში

სალექციო კურსების წაკითხვას და ითხოვს სამეცნიერო-შემოქმედებით მივლინებას 28 სექტემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი:0

თავი შეიკავა:0

5. ასოცირებული პროფესორის, რუსუდან სანაძის განცხადების განხილვა 2017-2018 წლის შემოდგომის სემესტრში უხელფასო შვებულების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ მიიღო წერილი ასოცირებული პროფესორის, რუსუდან სანაძისგან, რომელშიც ის ითხოვს უხელფასო შვებულებას 2017-2018 წლის შემოდგომის სემესტრში.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ქ. ჭკუასელმა აღნიშნა, რომ რ. სანაძეს რთული ოჯახური მდგომარეობა აქვს და ამიტომ გადადგა ეს ნაბიჯი. ის მხარს უჭერს განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, რ. სანაძის ამ განცხადებას, რადგან მიაჩნია, რომ კოლეგას რთულ პერიოდში ხელი უნდა შეეწყოს.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

6. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართვის რეგულაციის საკითხი.

წარმოდგენილი საკითხის განხილვის მიზნით საბჭოს მიმართა დეკანის მოადგილემ, ასოც. პროფესორმა ხათუნა მარწყვიშვილმა. ეს საკითხი საკმაოდ სენსიტიური გამოდგა ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ზოგადი სალექციო კურსების საათების გადანაწილების თვალსაზრისით, ამიტომ მომხსენებელმა მიმართა საბჭოს წევრებს, შეემუშავებინათ ის უნივერსალური გზა, რომელიც ხელს შეუწყობდა სწავლა-სწავლების პროცესიის ხარისხის ზრდას და, იმავდროულად, იქნებოდა საგნებზე ლექტორთა შერჩევის პლურალისტული, კოლეგიალური და ობიექტური საზომი.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. თამარ გაგოშიძე - ვფიქრობ, თითოეულმა ინსტიტუტმა თავად უნდა შემოგვთავაზოს დოქტორანტთა კანდიდატურები, შემდეგ უნდა გაკეთდეს ერთიანი სარეზერვო სია. ამ შემთხვევაში უმთავრესია, რომ ზოგადი საგნების წასაკითხად აუცილებელია იყოს ინსტიტუტიდან თითი პროფესორიც, მხოლოდ დოქტორანტებზე ამ კურსების მინდობა, არ იქნება მართებული.

ასოც. პროფ. ზაქარია ქიტიაშვილი - შესაძლებელია, სარეზერვო სიიდან მონაცვლეობით იტვირთებოდნენ ინსტიტუტების მიხედვით დოქტორანტები, თუკი ამის საშუალება იქნება.

ასოც. პროფესორი ლუიზა არუთინოვი - არ მგონია, მონაცვლეობა გამოვიდეს, ყოველ წელს ახალი დაკვეთები და საშუალებები ექნებათ ინსტიტუტებს.

ასოც. პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი - მსჯელობიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ დოქტორანტთა სარეზერვო სიის არსებობასთან დაკავშირებით პრინციპული შეთანხმება გვაქვს. ასევე ვთანხმდებით იმაზე, რომ ინსტიტუტების ხელმძღვანელებს ეგზავნებათ ყოველი სემესტრის წინ მათი ინსტიტუტის საგნები და კურსის წამყვანები, ინსტიტუტი აკორექტირებს - ამატებს საგანს, ცვლის კურსის წამყვანს და ა.შ. ახლა მთავარია ამ სარეზერვო სიიდან ლექცია-სემინარებზე დასაშვებად დოქტორანტის არჩევის წესზე შევთანხმდეთ იმ დროს, როდესაც რამდენიმედან ერთია ასარჩევი კონკრეტულ კურსზე. ვფიქრობ, სჯობს, შერჩევა მოხდეს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

პროფ. თამარ გაგოშიძე - იმისთვის, რომ შერჩევის ობიექტურობა ეჭვქვეშ არ დადგეს, უპრიანი იქნება შერჩევას გაუძღვეს დეკანის მოადგილე, ასევე ესწრებოდნენ ინსტიტუტების ხელმძღვანელები და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.

მსჯელობიდან გამომდინარე, საბჭოს საკითხი დასამტკიცებლად წარედგინა შემდეგი ფორმულირებით: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართვის წინაპირობა იყოს ინსტიტუტების მიერ დოქტორანტთა გვარების მიწოდება დეკანის მოადგილისათვის და ამის საფუძველზე სარეზერვო სიის შედგენა. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე დოქტორანტიდან ერთია ასარჩევი კონკრეტული კურსის წასაყვანად, ლექცია-სემინარებზე დასატვირთი დოქტორანტების შემთხვევითი პრინციპით ამორჩევის უზრუნველყოფა ინსტიტუტების ხელმძღვანელებისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თანდასწრებით.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და მიიღო ერთხმად

წინააღმდეგი :0

თავი შეიკავა: 0

7. ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებების დამტკიცება.

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ის ცენტრალური ხარისხის სამსახურიდან მოგვეწოდა ფაკულტეტზე მოქმედი ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმის მოდიფიცირებული ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი საგნის ამოღებასა და ამით სასწავლო გეგმის განტვირთვას. შესაბამისად, საბჭოს დასამტკიცებლად წარმოდგენილი აქვს ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმის მოდიფიცირებული ვარიანტი.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და მიიღო ერთხმად.

მომხრე: 19

წინააღმდეგი:0

თავი შეიკავა:0

8. ფაკულტეტის ფარგლებში ეთიკური IRB (Institucional review board) შექმნის საკითხი

ასოც. პროფესორმა ეკატერინე ფირცხალავამ საბჭოს მოახსენა, რომ საერთაშორისო დონეზე სამეცნიერო კვლევების განხორციელებისას სავალდებულოა კვლევის ეთიკის კომისიის დადებითი დასკვნა, რათა ნაშრომმა დღის სინათლე იხილოს და მიეცეს მეცნიერს ემპირიული კვლევების განხორციელების საშუალება. ჩვენს შემთხვევაში ამგვარი კომისიის ფაკულტეტზე ამოქმედება იქნება რეალური სამეცნიერო ხარისხის რეალური ზრდის გარანტი და , ასევე, დიდად შეუწყობს ხელს პროფესორების მიერ სხვადასხვა აკადემიურ გამოცემებსა თუ კონფერენციებზე შეუფერხებლად დაბეჭდვა-მონაწილეობას.

აზრი გამოთქვეს:

ასოც. პროფ. იზაბელა პეტრიაშვილი - ნამდვილად მივესალმები წარმოდგენილ საკითხსა და ინიციატივას, რადგან თავად მაქვს განცდილი მიმართულებაზე ამ ტიპის პრაქტიკის უქონლობის ნეგატიური შედეგები, ამიტომ, მნიშვნელოვანია საკითხის მხარის დაჭერა.

პროფ. თამარ გაგოშიძე - რათა ეს საუბარი მხოლოდ სურვილად არ დარჩეს და მიეცეს ქმედითი სახე, გთავაზობთ, ახლავე შევქმნათ კომისია, რომელიც დაიწყებს ამ საკითხზე მუშაობას და უახლოეს პერიოდში საბჭოს წარმოუდგენს კონკრეტულ ამოცანებს. რადგანაც დასმულ საკითხზე მუშაობის გამოცდილება აქვთ პროფესორებს - ეკატერინე ფირცხალავასა და იზაბელა პეტრიაშვილს, სწორედ მათ წარვადგენ ამ კომისიის წევრებად.

საბჭოს წინაშე საკითხი დაისვა შემდეგი ფორმულირებით - შეიქმნას სამეცნიერო კვლევის ეთიკის კომისია ასოც. პროფესორების, ეკატერინე ფირცხალავასა და იზაბელა პეტრიაშვილის შემადგენლობით.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და მიიღო ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი:0

თავი შეიკავა:0

9. პროფესორების სამსახურში შესარჩევი შეფასების კრიტერიუმების პროექტის განხილვა

ფაკულტეტის საბჭოს თავჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტებს დაეგზავნა თსუ-ში პროფესორის შერჩევის კრიტერიუმების სამუშაო ვერსია განსახილველად. ეს სამუშაო ვერსია დაგზავნილი ჰქონდა თითოეულ საბჭოს წევრს, შესაბამისად, მნიშვნელოვანი იქნება იმ მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების გაცნობა, რომლებიც კოლეგებს ჩამოუყალიბდათ.

აზრი გამოთქვეს :

<u>ასოც. პროფესორი ვახტანგ ნადარეიშვილი</u> - ვფიქრობ, ამ შემთხვევაში დეტალური განხილვა არამართებულია, მთავარია ძირითადი უმნიშვნელოვანესი პრინციპების გამოკვეთა. ჩემთვის ამ თვალსაზრისით მიუღებელია დოკუმენტის უნიფიცირებულობა. ვფიქრობ, თითოეულ დარგს და ფაკულტეტს აქვს თავისი სპეციფიკაცია, რომელიც აუცილებლობით უნდა იყოს ასახული პროფესორების შერჩევის დოკუმენტში.

<u>პროფესორი თამარ გაგოშიძე</u> - თავისთავად პროფესორის შერჩევის კრიტერიუმების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ წინა დოკუმენტიც და ახლანდელიც ნამდვილად ხარვეზიანია. შეფასებისას გაზომვის მეთოდოლოგია გაუგებარია - ქულები ისეა მინიჭებული, რომ დიფერენცირებას ვერ გააკეთებ - პრინციპია „ერთი ან ბევრი“. ჩვენ შემთხვევაში განსაკუთრებით აქტუალური და რთულია იმფაქტ-ფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნება, ვისაც აქვს გამოცდილება, იცის, რომ მინიმუმ 1.6 წელი გეხარჯება ამ რთულ პროცესზე.მით უმეტეს ასეთ სიტუაციაში 5 სტატიის მქონე, რომ 2 ქულით აჯობებს 1 სტატიის მქონეს, ძალიან უსამართლოდ მეჩვენება. ასევე რთულად გაზომვადია პრეზენტაციის კომპონენტი და, ვთვლი, თავიდან უნდა გადაისინჯოს.

<u>ასოც. პროფესორი ლილი ხეჩუაშვილი:</u> პრეზენტაციის შეფასებისას ძალიან მნიშვნელოვანია კონკრეტული კრიტერიუმები, უბრალოდ მასალის ცოდნა, რომელიც 40 ქულით ფასდება, ძალიან ზოგადია და კანდიდატებს უსამართლობის განცდა ექნებათ, ვთქვათ რატომ მიიღეს

მასალის ცოდნაში 20 ქულა და არა მეტი. ეს უნდა იყოს დეტალურად გაწერილი, რომ შემფასებლებს ჰქონდეთ კონკრეტული რუბრიკით შეფასების საშუალება.

<u>ასოც. პროფესორი მაია მესტვირიშვილი:</u> შესაფასებელი ქულები უცნაური პრინციპით არის მინიჭებული– არ არის გრადაცია; ზოგადად ქულების მინიჭება ყოველთვის პრობლემებთან არის დაკავშირებული პირობითობის გამო, მაგრამ ამ შემთხვევაში ზოგადად გაზომვის პრინციპებია დარღვეული.

საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად დაისვა საკითხი შემდეგი ფორმულირებით:

ა) წარმოდგენილი სამუშაო ვერსია უნიფიცირებულია, არ იძლევა დარგების საჭიროებების გათვალისწინებით ლავირების საშუალებას. რა თქმა უნდა, თსუ-ში პროფესორების შერჩევის კრიტერიუმები აუცილებელია ექვემდებარებოდეს საერთო ჩარჩოს, ძირითად პრინციპებს, ერთგვარ მინიმალურ სტანდარტს, რასაც დაეფუძნება თითოეულ ფაკულტეტზე მოქმედი შერჩევის წესი, თუმცა, აუცილებლად გასათვალისწინებელია თითოეული დარგის სპეციფიკაცია. შესაბამისად, თითოეულ ფაკულტეტს უნდა მიეცეს საშუალება ზოგადი, სავალდებულო პრინციპების საფუძველზე გაწეროს მისი დარგისთვის მისაღები შეფასების კრიტერიუმები.

ბ) პროფესორის არჩევის კრიტერიუმების წარმოდგენილ სამუშაო ვერსიაში შეფასების სისტემა საჭიროებს ძირეულ ცვლილებას, რადგან დარღვეულია გაზომვის მეთოდოლოგია.

გ) საჯარო პრეზენტაციის კომპონენტი თავიდანაა გადასამუშავებელი და საჭიროებს შეფასების დეტალურ კრიტერიუმებს ყოველ ქვეკომპონენტზე.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებებს და მიიღო ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი:0

თავი შეიკავა:0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს 2017 წლის კურსდამთავრებული ბაკალავრის, ანა ფირცხელიანის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ წარდგინება;

2. დამტკიცდეს მაგისტრატურის წარმოდგენილ კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი;

3. შევიდეს შესწორება 2005 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი#7-ში და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით, სპეციალობით ფსიქოდიაგნოსტიკა და რეაბილიტაცია;

4. მიეცეს პროფესორ ვლადიმერ გამსახურდიას სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების უფლება 28 სექტემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით და გაეწიოს შუამადგომლობა აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად;

5. მიეცეს ასოცირებული პროფესორის პროფესორ რუსუდან სანაძეს უხელფასო შვებულებაში გასვლის უფლება და გაეწიოს შუამადგომლობა აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად;

5. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე დოქტორანტიდან ერთია ასარჩევი კონკრეტული კურსის წასაყვანად, ლექცია-სემინარებზე დასატვირთი დოქტორანტების შემთხვევითი პრინციპით ამორჩევის უზრუნველყოფა ინსტიტუტების ხელმძღვანელებისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თანდასწრებით.

6. დამტკიცდეს ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებები წარმოდგენილი სახით;

7. შეიქმნას სამეცნიერო კვლევების ეთიკის კომისია ასოც. პროფესორების, ეკატერინე ფირცხალავასა და იზაბელა პეტრიაშვილის შემადგენლობით;

8. პროფესორების სამსახურში შესარჩევი შეფასების კრიტერიუმების პროექტი წარმოდგენილი სახით არ არის მისაღები და საჭიროებს კორექტირებას. აუცილებელია შეიქმნას პროფესორის შერჩევის ზოგადსაუნივერსიტეტო კრიტერიუმების ჩამონათვალი და შეფასების პრინციპები, ხოლო კონკრეტული ფაკულტეტისთვის საკონკურსო კრიტერიუმებსა და შეფასების სისტემას ფაკულტეტზე შექმნილი და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებული კომისია შეიმუშავებს. შეფასების სისტემა უნდა ეფუძნებოდეს შეფასების სფეროში მიღებულ გაზომვის სწორ მეთოდოლოგიას.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე